სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
№ 108

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით გრიგოლიას სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი გენერალური მენეჯერი ქეთევან სიგუას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 6 აპრილის №591-03 მოხსენებითი ბარათისა და 2023 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან ელექტრონული ფოსტით მიღებული თანხმობის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ქვეპროგრამა: ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები) 2023 წლის მაისის თვეში დაგეგმილი ქართული ღვინის ტურის ფარგლებში, სტუმრად მოწვეული კომპანია ,,Meiburg Wine Media Ltd“-ის დამფუძნებლის (დებრა მეიბურგი) და დირექტორის (ალექსანდრა ვებსტერი), ასევე ჰონგ კონგიდან, შანხაიდან და სინგაპურიდან სტუმრად მოწვეული 12 (თორმეტი) სტუმრისათვის (სომელიეები და იმპორტიორები) სულ ჯამში 14 (თოთხმეტი) ადამიანის გამასპინძლების მიზნით, სარესტორნო მომსახურების შესყიდვა (CPV- 55300000 კოდი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. მომსახურების დეტალური აღწერილობა და ფასები მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: 2023 წლის 5 მაისი.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი, №4, **რესტორანი „რიგი გასტროდუქანი“**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3 122.50 (სამი ათას ას ოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს 2023 წლის მაისის თვეში დაგეგმილი ქართული ღვინის ტურის ფარგლებში, სტუმრად მოწვეული კომპანია ,,Meiburg Wine Media Ltd"-ის დამფუძნებლის (დებრა მეიბურგი) და დირექტორის (ალექსანდრა ვებსტერი), ასევე ჰონგ კონგიდან, შანხაიდან და სინგაპურიდან სტუმრად მოწვეული 12 (თორმეტი) სტუმრისათვის (სომელიეები და იმპორტიორები) სულ ჯამში 14 (თოთხმეტი) ადამიანის გამასპინძლების მიზნით, ამ ხელშეკრულებითა და დანართი №1-ის შესაბამისად სარესტორნო მომსახურების გაწევა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისგან ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4 შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

6.ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ქეთი გეგენავა.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ მომსახურების წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა (ბოლო დღე) ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან ან ვალდებულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობისგან, მათ შორის შემსყიდველისთვის წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით და ხელმოწერილია ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია ელექტრონული შტამპით.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარის პირველი მოადგილე
დავით გრიგოლია

ს/კ 204446965
იურიდ. მის.: ქ. თბილისი, მ. გელოვანის გამზ. №6.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი
ბ.კ. TRESGE22; **ა/ა** 200122900
ტელ.: 2 97 41 03

LEPL National Wine Agency
Digitally signed by LEPL National Wine Agency
Date: 2023.04.12 11:11:29 +04'00'

დავით გრიგოლია

<u>მიმწოდებელი</u>

შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“

გენერალური მენეჯერი

ქეთევან სიგუა

ს/კ 203843396
იურიდ. მის.: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი, №4
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი“
ბ/კ TBCGE22
ა/ა GE31TB1100000023467236
ტელ: 2 98 00 00

ქეთევან სიგუა

Ketevan Sigua 01024003955
Digitally signed by Ketevan Sigua
Date: 2023.04.11 18:39:41

დანართი №1

№	მომსახურების სავარაუდო დასახელება	რაოდენობა	ღირებულება	სრული ღირებულება
1	მეგრული ხაჭაპური ჭყინტი ყველის გულსართით და სულგუნით დაფარული.	4	30.00	120.00
2	გამომცხვარი მჭადი.	10	4.00	40.00
3	დედას პური ლომთაგორა / შავფხა / მესხური.	4	7.00	28.00
4	საცმაცუნოების ხონჩა - პრასის ფხალი-“პრასის კრიმანჭული” დაწეწილი პრასი გურულად ჭარხლის ფხალი-“წითელა”-ჭარხალში გახვეული ნიგვზის გულსართი ეკალას ფხალი-მწნილის ფხალი ნიგვზით.	4	28.00	112.00
5	რძიანი სულგუნი - ახლადგადაზელილი მეგრული ყველი, გახუხულ შოთის პურით და აჯიკით.	4	28.00	112.00
6	ქართული მთის ყველის თაბახი: საქონლის გუდა, თუშური გუდა, დამბალხაჭო და ბაღჩის მწვანე ხახვი და ბოლოკი.	4	41.00	164.00
7	რაჭული ლორი მდოგვით.	4	28.00	112.00
8	ქალაქური სალათი - ბაღჩის კიტრი და პომიდორი, ცინცხალი მწვანილით, ჯონჯოლით და მოხალული ნიგვზით.	4	20.00	80.00
9	ქორჭილა ქინძმარში, ჭარხალში და ციტრუსებში გამოყვანილი ქორჭილას ფილე, პრასით, ქინძმარის სოუსით და გოგრის მჟავით.	4	43.00	172.00
10	ტაბაკად შემწვარი წიწილა კახურ ზეთში შემწვარი გატკუცული წიწილა კენკრის ტყემლით.	4	45.00	180.00
11	მეგრული კუპატი ჭვიშტარით.	4	37.00	148.00
12	მწვადი ხბოს.	7	26.00	182.00
13	რაჭის გასტრონომიული ბრენდი „შქმერული“ შეპიწკინებული წიწილა ნივრიანი ნაღებით, კოჭათი და დამბალხაჭოთი.	4	46.00	184.00
14	ქართული კულინარიის პოლიფონია „ჩაქაფული“ხბოს ხორცის ცხელი კერძი ქორფა ქინძით, თეთრი ღვინით, ტყემლითა და პომიდვრის ჩირით.	4	56.00	224.00
15	ინდაური კენკრის საწებლით - შემწვარი ყველით და ნივრის ჩიფსით.	4	78.00	312.00
16	კუპატის დაფა - კუპატი დამბალხაჭოთი, კარამელიზირებული ხახვით.	4	77.00	308.00
17	გაწურული მაწვნის ნაყინი არაჟნის და გირჩის მურაბის სოუსით, სამოთხის ვაშლით.	17	17.00	289.00
18	წყალი.	10	4.50	45.00
19	მინერალური წყალი.	7	4.50	31.50
20	კომპოტი 1ლ	7	18.00	126.00
21	ყავა, ჩაი (შავი/მწვანე, თურქული ყავა, ამერიკანო)	17	9.00	153.00
	სულ დღგ-ს ჩათვლით:			**3122.50 ₾**

<u>**შემსყიდველი**</u>

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

<u>**მიმწოდებელი**</u>

შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“
გენერალური მენეჯერი

დავით გრიგოლია

ქეთევან სიგუა

LEPL National Wine Agency
Digitally signed by LEPL National Wine Agency
Date: 2023.04.12 11:11:46 +04'00'